სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	თელავის „ჭადარი“ - პატარძეულის „პატარძეული“		
გუნდი	პატარძეულის „პატარძეული“	შეჯიბრი	რეგიონალური ლიგა
მატჩის თარიღი	04/11/2023	მატჩის ადგილი	თალავი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	მოთამაშე	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	დავით თარხნიშვილი		
☐მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	ანნა რურუა - კიდის მსაჯი 1 ანა ხაბულიანი, კიდის მსაჯი2	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	**9.28 (ა)** მოთამაშემ არ უნდა გამოიჩინოს უპატივისმცემლობა მატჩის ოფიციალურ პირთა ავტორიტეტის მიმართ	☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	10/11/2023	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის დასწრება	☐ კი ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	

განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	ანნა რურუას(კიდის მსაჯი 1) საითინგი ანა ხაბულიანის(კიდის მსაჯი2) საიინგი

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. ანნა რურუას(კიდის მსაჯი 1) საითინგი
2. ანა ხაბულიანის(კიდის მსაჯი2) საიინგი
3. მატჩის მსაჯის, ანა პოღოსიანის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი
4. ანნა რურუას(კიდის მსაჯი 1) გამოკითხის აუდიოჩანაწერი
5. ანა ხაბულიანის(კიდის მსაჯი2) გამოკითხვის აუდიოჩანაწერი
6. ინციდენტის ამსახველი (ანა ხაბულიანის ეპიზოდი) ვიდეომასალა

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

პატარძეულის „პატარძეული“-ს მოთამაშემ დავით თარხნიშვილმა სადისციპლინო კომისიის გამოკითხვის დროს აღიარა მისი მხრიდან მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე ემოციურად, აგრესიულად და ხმამაღლა საჯაროდ აპელირების ფაქტი.

დავით თარხნიშვილი კატეგორიულად არ დაეთანხმა მის მიერ მსაჯების მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს, მან საკუთარი პოზიციის გასამყარებლად კომისიის წევრებს განუმარტა რომ მას ჰქონდა ვიდეო მასალა (ანა ხაბულიანის ეპიზოდი), რომელიც ადასტურებს რომ სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებისა მსაჯებისთვის.

დავით თარხნიშვილის მიერ წარმოგენილი ვიდეო მასალა და სადისციპლინო კომისიის მიერ მოპოვებული ვიდეო მასალა აღმოჩნდა იდენტური.

ვიდეო მასალაზე დაყრდონობით დავით თარხნიშვილმა აღნიშნა რომ კონკრეტულ მომენტში დაიწყო აპელირება (რაც ჩანს ვიდეო მასალაზე) და სიტყვიერი შეურაცხოფა რომ მიეყენებინა მსაჯისთვის აუცილებლად დაფიქსირებოდა ვიდეო ჩანაწერში.

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 04/11/2023 გაიმართა რეგიონალური ლიგის (აღმოსავლეთი) VII ტურის მატჩი თელავის „ჭადარი“-სა და პატარძეულის „პატაძეულს“ შორის.
2. მატჩის კიდის მსაჯის, ანა ხაბულიანის საითინგის მიხედვით (ციტირება) – „რ.კ პატარძეულის 5 ნომრის (დავით თარხნიშვილი)ის მხრიდან მსაჯების მიმართ იყო არაერთი

სიტყვიერი შეურაცხყოფა (გინება) სათადარიგო ადგილიდან, რის შემდეგაც მოვითხოვე მე კიდის მსაჯმა და მთავარმა მსაჯმა მისი მოედნის გარეთ გასვლა, რადგან არ ჩერდებოდა და გვეჩხუბებოდა, რის შემდეგაც მან დატოვა მოედანი და თამაში კვლავ გაგრძელდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მოედანზე კვლავ ბრუნდება ამჯერად მეორე მხარეს უკვე მეორე კიდის მსაჯის მხარეს რის გამოც მსაჯმა სთხოვა მოედანი დაეტოვებინა,რის შემდეგაც იგი ტოვებს მოდეანს და თან მსაჯების მიმართულებით იგინება. მისი მხრიდან ეს არ არის პირველი შემთხვევა, იგი ხშირად გამოირჩევა მსაჯების მიმართ უხეში რეპლიკებით და აგრესიით.“

3. მატჩის კიდის მსაჯის, ანნა რურუას საითინგის მიხედვით (ციტირება) - რ.კ პატარძეულის 5 ნომრის (დავით თარხნიშვილი)ის მხრიდან მსაჯების მიმართ იყო არაერთი სიტყვიერი შეურაცხყოფა (გინება) სათადარიგო ადგილიდან, რის შემდეგაც მოითხოვეს მეორე კიდის მსაჯმა და მთავარმა მსაჯმა მისი მოედნის გარეთ გასვლა და თამაში კვლავ გაგრძელდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ის მოედანზე კვლავ შემოდის ამჯერად მეორე მხარეს უკვე ჩემს მხარეს რის გამოც ვთხოვე მოედანი დაეტოვებინა და გადასულიყო მაყურებელთა მხარეს რაზეც მას საკმაოდ აგრესიული რეაქცია და უხეში რეპლიკები ქონდა, ამდროს ისს სტადიონს არტყმს კრუგს მის ნივთებს იღებს დაა კვლავ ჩემს მხარეს ბრუნდება , გადის სტადიონიდან და მსაჯების მიმართულებით იგინება. მისი მხრიდან ეს არ არის პირველი შემთხვევა, იგი ხშირად გამოირჩევა მსაჯების მიმართ უხეში რეპლიკებით და კონფლიქტით.
4. ვიდეომასალის (ანა ხაბულიანის ეპიზოდი) მიხედვით - პატარძეულის „პატარძეული“-ს შეცვლილი მოთამაშე, დავით თარხნიშვილი ხმამაღლა, აგრესიულად აპროტესტებს კიდის მსაჯთან (ანა ხაბულიანი) სათამაშო მომენტებს. ინციდენტის გამო მატჩის მსაჯმა (ანა პოღოსიანი) შეაჩერა თამაში და დავით თარხნიშვილს დაატოვებინა სათამაშო პერიმეტრი.
5. სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებამდე, პატარძეულის „პატარძეული“-ს მოთამაშემ დავით თარხნიშვილმა შეყოვნების გამო გამოტოვა რეგიონალური ლიგის(აღმოსავლეთი) IX ტურის მატჩი.

მსჯელობა

1. სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების და მატჩის ოფიციალური პირების გამოკითხვის მიხედვით სადისციპლინო კომისიამ ვერ დაადგინა დავით თარხნიშვილის მხრიდან მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები შემდეგ გარემოებათა გამო:

ანა ხაბულიანის საითინგი

- ✓ ანა ხაბულიანის გამოკითხვისას დროს კომისიის წევრების კითხვაზე დაეზუსტებინა სიტყვიერი შეურაცხყოფის დრო? ანა ხაბულიანი აღნიშნავს რომ სიტყვიერ შეურაცხყოფას ადგილი ჰქონდა თამაშის მეორე ნახევარში როდესაც ბურთი გადავიდა აუტში.
- ✓ კომისიის წევრების კითხვაზე საქმეში არსებული მატჩის ვიდეო მასალის ამსახველ კონკრეტულ დროს მოხდა თუ არა დავით თარხნიშვილის მიერ სიტყვიერი შეურაცხყოფა ?

ანა ხაბულიანმა დაადასტურა რომ წარმოდენილი ვიდეო მასალის კონკრტულ დროს მოხდა მსაჯების მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ დავით თახნიშვილმა ჯერ დაიწყო ხმამაღლა აპელირება, რაც ისმის ვიდეო მასალაში და შემდეგ სიტყივიერი შეურაცხყოფის დროს დაუწია ტემბრს ისე რომ მსაჯების მიმართ სიტყივერი შეურაცხყოფა აღარ ისმის ვიდეო მასალაში.

ანნა რურუას საითინგი

- ✓ სადისციპლინო კომისიამ, ანნა რურუას გამოკითხვის დროს, თხოვა დაეზუსტებინა მის საითინგში აღწერილი მსაჯების მიმართ შეურაცხყობის მიყენების დეტალები.
- ✓ ანნა რურუამ კომისიას განუმართა რომ დავით თახნიშვნილი გადმოვიდა მის მხარეს რაზეც მან მისცა გაფრთხილება რომ იგი გაძევებული იყო მოედნიდან მთავარი მსაჯის მიერ. დავით თარხნიშვილმა კი უპასუხა რომ იგი არ იყო გაძევებული და მიდიოდა პირადი ნივთების ასაღებად. ანნა რურუას განმარტებით გარკვეული პერიოდის შემდგომ დავით თარხნიშვილი ისევ ბრუნდება მის მხარეს და შემოდის მასთან პოლემიკაში და ხდება მცირეოდენი შელაპარაკება.
- ✓ კომისიის წევრთა კითხვაზე თუ ზუსტად რა დროს მოხდა დავით თარხნიშვილი მიერ მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფა ? ანნა რურუამ განაცხადა რომ ზემოთხენებული ინციდენტის შემდგომ, დავით თარხნიშვილი სავარადოდ გულშემატკივრებთან ერთად იმყოფებოდა მისგან დაახლოებით 40-50 მეტრში, რა დროსაც მან გაიგონა მსაჯების მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა.

2. სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი მასალების და მხარეთა გამოკითხვის შემდეგ დადგენილად ცნო პატარძეულის „პატარძეული“-ს მოთამაშის, დავით თარხნიშვილის მხრიდან 9.28 ა) წესის უხეში დარღვევა.
3. სადისციპლინო კომისიამ ასევე იმსჯელა მსაჯების მიერ დავით თარხნიშვილის მიმართ გამოყენებულ არაკორექტულ მიმართვებზე, კერძოდ:

ანა ხაბულიანის გამოკითხვიდან დგინდება რომ მან დავით თარხნიშვილს მიმართა არაკორექტულად შემდეგი სიტყვებით: „თუ მსაჯობა გინდა დროშა დაიჭირე და შენ იმსაჯე“. ანა ხაბულიანი აღნიშნულ მიმართვას განმარტავს იმ გარემოებით რომ იგი ძალიან აღელვებული იყო, ვინაიდან აღნიშულ სიტყვებს წინ უძღოდა დავით თარხნიშვილი მხრიდან ხმამაღალი აპელირება, აგრესია და მსაჯების მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი.

ანნა რურუას გამოკითხვიდან დგინდება რომ მან დავით თარხნიშვილთან მცირეოდენი შელაპარაკების დროს დავით თარხნიშვილს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „შენი საუბარი მკიდია“ . ანნა რურუა აღნიშნულზე განმარტავს, რომ მან ზემოთხენებული სიტყვები უთხრა დავით თარნიშვილს, თუმცა ეს ეხებოდა სხვა ინციდენტს.

სადისციპლინო კომისია მიიჩნევს რომ მსაჯების (ანა ხაბულიანი, ანნა რურუა) ქმედება არის არაკორექტული და განმარტავს რომ რაგბი არის სპორტი, სადაც თამაშის დროს მატჩის მონაწილეები განიცდიან ძლიერ ემოციურ აღელვებას და მსაჯის არაკორექტული მიმართვა შესაძლოა გახდეს რაიმე ინციდენტის მაპროვოცირებელი.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	☒ მიღებულია	☐ უარყოფილია	☐ სხვა (აღწერეთ)

სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	6 (ექვსი) კვირა/თამაში	☐ წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	13/11/2023	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი.	01/04/2024 (რეგიონალური ლიგის ცხრილის მიხედვით)	
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა.		
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ მოთამაშეს ეკრძალება ნებისმიერი დონის რაგბის თამაშის დროს, ყოველგვარი აქტივობა სათამაშო პერიმეტრში.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	13/11/2023

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**